ქ.თბილისში, ინგოროყვას ქ. № 7-ში მდებარე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციულ შენობაში ცხელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების ტექნიკური დავალება

პროექტის აღწერა:

ცხელი წყლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ცხელი წყლის მიწოდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7) 71 წერტილში. შენობაში უნდა დამონტაჟდეს წყლის მოცულობითი ბოილერი და ბუნებრივი აირის წყალგამათბობელი, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში ცხელი წყლის მიწოდებას (წყლის მიწოდების მაქსიმალური სიმაღლეა 40 მეტრი, XII სართული). ამ ეტაპზე საჭიროა მოცულობითი ბოილერის, წყალგამათბობელის და მათი თანმდევი სისტემების მონტაჟი და მათი დაერთება არსებული წყლის მილების სისტემასთან.

სამუშაოს აღწერა:

- ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (შენობა N5) უნდა დამონტაჟდეს ცხელი წყლის 2 ცალი ბოილერი (V=1000ლ) და ბუნებრივი აირის კედლის საკონდენსაციო წყალგამათბობელი ქვაბი (HP Q= 150kw).

- პირველ სართულზე (შენობა N5) არსებული ცივი წყლის რკინის მილიდან უნდა მოხდეს პლასტმასის მილებით წყლის მიწოდება საკონდენსაციო წყალგამათბობელთან, რომლიდანაც წყალი უნდა მიეწოდოს ცხელი წყლის ბოილერს.

- ცხელი წყლის ბოილერიდან გამომავალი წყალი, უკვე არსებული ტრასის გავლით, დაერთდეს ტექნიკურ სართულზე არსებული ცხელი წყლის გამანაწილებელ და რეცირკულაციის მილებთან, საიდანაც მოხდება წყლის მიწოდება-განაწილება სართულებზე არსებულ წერტილებამდე.

- ცხელი წყლის სისტემის მონტაჟის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული სისტემის სრულფასოვანი მუშაობისათვის საჭირო ყველა მაკომპლექტებელი ელემენტი (კოაქსალური მილი 110/150, კოაქსალური მუხლი, ადაპტერი, 2 საფართოებელი ავზი V=50 ლ, V= 150 ლ, უკუსარქველები D40, წყლის ფილტრები, ვენტილი ბურთულიანი, დამცავი სარქველი, ჰიდრო კომპენსატორი, გადაბმის შიდა და გარე ხრახნიანი ქუროები (40*1 ¼), მილის ფორნიტურა, ვენტილები ბურთულიანი D50,D63, ტუმბო ბოილერისთვის და რეცირკულაციისათვის (A80/180), ტუმბო ქვაბის A110/180, წყლის მილი თბოიზოლაციით-DN63, DN40, DN32, D50. (ცხელი წყლის სისტემის მოწყობის სქემა. დანართი N1)

- წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ უნდა განხორციელდეს სისტემის ყველა წერტილის გატესტვა, 48 საათის მანძილზე.

- სამუშაოები უზრუნველყოფილ უნდა იქნას ცხელი წყლის სისტემის მოწყობის სქემის დაცვით, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციას თან ერთვის დანართი N1-ის სახით.

- სამუშაობის ფარგლებში საჭირო დანადგარებისა და ნაწილების რაოდენობები/ მოცულობები წარმოდგენილია ცხელი წყლის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციას თან ერთვის დანართი N3-ის სახით.